



N 10316/01
30/09/2021

10316-01-2-202109301705



გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 24 სექტემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილ იქნა გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ველისციხეში სასარგებლო წიაღისეულის - მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით, 0.07 ჰა-ზე, 730 000 მ³ ხუთ წელიწადში) მოპოვების სკრინინგის განცხადება. სკრინინგის განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ლინკი - <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/33301>)

დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge

გიგზავნით აღნიშნული სკრინინგის განცხადების შესახებ ინფორმაციას თანდართული დოკუმენტაციით. გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული სკრინინგის განცხადების განთავსება თქვენი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

დანართი: ტექსტის თანახმად

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

